# საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

KA060195897493616

## ბრძანება №-260

**ქ. თბილისი** **27 / მაისი / 2016 წ.**

### შპს „ენერგოტრანსი“-ს 500 კვ ძაბვის ქსანი-სტეფანწმინდას ელექტროგადამცემი ხაზის განთავსებაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ

,,გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ'' საქართველოს კანონის მე–4 მუხლის პირველი პუნქტის ,,ლ'' ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა № 27; (24.05.2016 წ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ წარმოდგენილ შპს „ენერგოტრანსი“-ს 500 კვ ძაბვის ქსანი-სტეფანწმინდას ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „ენერგოტრანსი“-მ უზრუნველყოს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით № 27; (24.05.2016 წ) გათვალისწინებული პირობების შესრულება;
4. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ენერგოტრანსი“-ს;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ენერგოტრანსი“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში- საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

მინისტრი გიგლა აგულაშვილი